ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 7. ფ. 40 კ.

ნიკი

აპრილი 1933 წ.

კულაკი: — არც ერთს ᲗᲛᲐᲗᲡ ᲐᲠᲐ ᲕᲒᲔᲕᲐᲠ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐ ᲛᲬᲛᲔᲜᲓᲔᲜ, ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑ ᲨᲘᲒ ᲓᲐᲠᲩᲔᲜ ᲐᲡ!

ბათლომე წკიპურტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ურა, ურა, ურა! —შემოიღრიალა ბათლომე წკიპურტაძემ ოთახში.

— რა გაღრიალებს, შე კაი კაცო, ხომ არ გაგიჟდი? —პირდაღებული შეეკითხა მეგობრები, რომლებსაც თავი მოეყარათ მის ოთახში და კარტის თამაშს შეეჩვეოდენ.

— ბატონებო,, დღეის იქით თქვენ შორის ბათლომე წკიპურტაძე აღარ არსებობს. დღეის იქით ჩემი გვარია ჰიტლერაძე. ხომ გესმით? მე ბახლავარ ბათლომე ჰიტლერაძე! —ღრიალებდა ბათლომე და ერთ ადგილას ჯარასავით ტრიალებდა.

— მგონი შეიშალა მაგ უბედური. —წამოიძახა ერთმა.

მოიცათ, მოიცათ. შეშლილები თქვენ ხართ, რომ ინჩი-ბინჩი არ გეს მით პოლიტიკაში. მე გვარი გამოვიცვალე არა უმიზეზოდ, მისმინეთ და გაიგებთ! —დაიწყო ბათლომემ. — ბატონებო, მე თქვენ გეუბნებოდით, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიტონი სიტყვები გამოუსადეგარი არის-მეთქი. კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ „ცეცხლითა და მახვილით“. კომუნიზმი მოისპობა თუ კომუნისტების „სინსილა“ არ იქნება ქვეყანაზე, — გესმით, თქვენ უტვინოებო? მოსპეთ და ვაინადგურეთ კომუნისტები და მოისპობა კომუნიზმიც. აი რას ვამბობდი მე და თქვენ არ მიგიღერებდით. მე მართალი გამოვდექი.

საჭირო იყო რომელიმე დიდ სახელმწიფოს აეღო თავის თავზე ასეთი მისია და ნახავდით, როგორ გამართლდებოდა ჩემი შეხედულება.

საჭირო იყო ქვეყანას მოეღინებოდა უდიდესი პიროვნება, რომელიც ამ საქმეს რკინისებური ნებით ხელს მოჰკიდებდა და თქვენ ნახავდით, როგორ გაქრებოდა კომუნიზმი გაზაფხულის თოვლივით.

ასეთი სახელმწიფო უკვე გამოჩნდა, ეს გახლავთ გერმანია: პიროვნება, რომელიც კომუნიზმს მუსრს აღლებს, გახლავს ჰიტლერი. მაშ, გაუმარჯოს გერმანიას, ბატონებო, გაუმარჯოს ჰიტლერს, ვენაცვალე მას ყანყრატოში!

ბათლომეს სახეზე ოფლი დაესხა, თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლები ცვივოდა.

— ეი, თქვენ, პოლიტიკის ბეცებო, ახლა ხომ გაიგეთ, რატომ დავირქვი ჰიტლერაძე? აბა, დაუკარით ტაში, უნდა ვიცეკვო! —დაიღრიალა ბათლომემ და ჩამოუარა.

იმ ღამეს ბათლომეს დიდხანს არ დაძინებია. ოცნებამ გაიტაცა. ძილში ტკბილი სიზმარი ნახა. ბათლომე ჰიტლერის მარჯვენა ხელი გამხდარიყო... ბრძანებაზე ორივე აწერდენ ხელს.

— ჩემო ბათლომე,, —თავზე ხელის მოსმით უთხრა მას ჰიტლერმა, —ახლავე უნდა ინახულო შენი მეგობრები, ქართველი მენშევიკი ემიგრანტები და გადასცე მათ, რომ ახლავე გამოცხადდენ ჩემთან სამსახურში, ზოგს საკუჭნაოს ჩავაბარებ, ზოგს სამზარეულოს, ზოგი კი საპირფარეშოში იმსახურებენ... მათი უფროსი იქნება ბატონი ველსი.

აბა, ბათლომე გასწი და დაუყოვნებლივ მომგვარე ყველა ისინი...

ბათლომემ ახალოხის კალთები გადაიკაპიწა, ჰაერიპლანში ჩაჯდა და ბერლინიდან პარიზისაკენ გაეშურა.

ბათლომე ქართველ ემიგრანტებთან ერთად ბრუნდება ბერლინში. ჰიტლერის მისალებ ოთახში ისხენ თავს იყრიან. ზოგს ზიზისაგან ფერი წასვლია, ზოგს გული ბოლმით ევსება, როცა ხედავენ ბედნიერ ბათლომეს, რომელიც ჰიტლერის მარჯვენა ხელია.

— ბატონებო, —გაიცინა ბათლომეს ტონი ხმა, —ჰიტლერს დღეს თქვენთვის არ სცალია. მე მინდა თქვენთვის მოვალეობის განაწილება. —და ბათლომემ უბიდან წიგნაკი ამოიღო და თვითეული იქ მყოფი ჩაინიშნა —ვინ რა თანამდებობაზე ინიშნებოდა...

ყველაზე უფრო პატივცემულ ქართველ ემიგრანტს კარისკაცობა ერგო.

ბათლომეს მოგვიანებით გაელვიძა. შიშშილი იგრძნო. მაგიდაზე შავი პურის ნატეხი დაინახა, წამოხტა და გადასანსლა....

რამოდენიმე წუთის შემდეგ ჭურჭელში გამოვარდა.

გაზეთი იყიდა.

გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში კომუნისტების გამარჯვება ამოიკითხა.

ამ დროს მოიცმა:

— გაუმარჯოს წკიპურტაძეს.

ნაცნობი დაინახა.

— წკიპურტაძე კი არა, მე ჰიტ... ჰო, თუმცა...

გაუმარჯოს, გაუმარჯოს.....

ყუმბარა.

ნახ. დონის

მეორე ინტერნაციონალის ბელადები მთლიანად გადადიან ფაშისტების ბანაკში.

„ხურნელოვანი“ და „ხაამაყო“ საქმის ვიცოდი მუდამ კეთება.
და გზა „უკვდავი“ ჩემგან თე ლილი ქოთანო ჩემო, მაინც დარჩება.

ვინ-ვის!

არაკი

ცხოველისადმი კეთილ კაცთა
ბოპკურობის ფაქტი
ბევრნაირია: ერთ მათგანის
მოწმე მეც ვავხდი.
ეს მოხდა... მაგრამ სულერთია,
რიცა ეს მოხდა;
თვითონ ამბავი ნამდვილია,
შემოხვედა კოხტა!
ხალხის წინ იწვა ძაღლი-ყურძა,
ეზოს ჭოფაკი;
თავს მეპატრონე ადგა, ხელში
ებყრა თოფრაკი,
ილებდა მუნით საზრდოსა და
ყურშას აწვდიდა...
ხნეული ძაღლი კი კანკალით
კისერს ძლივს სწვდიდა,
ბარს ძლივს აღებდა, რომ ლუკმები
გადაეყანესა,
სჩანდა, განძრევაც არ შეეძლო,
არა თუ წასვლა...
მე გამოცა მეპატრონის
ამ თავმდაბლობამ,
მივმართე ტკბილად: —თქვენი ჭკვა
მაკვირვებს, ძმობამ!
გაცა თავს ადგეს, ვით მსახური,
ძაღლს, ჭიციანსა;
ჭკვა ასეთი ხომ ამცირებს
ადამიანსა?!...
რის გულისათვის, ან რა აზრით
სჩადიხარ ასე?
თუ არ სიაგლეთ, ჭკვა თქვენი
ვერ შეგათვალე"—
იმან მომიგო: —ეს ჭოფაკი,
იცი წელია,
ჩემი ეზოს და კარ-მიდამოს
ერთადერთი მცველია;
რამდენი ჭურდი, მავნებელი,
საერთოდ მტერი
მან მომიგერია!.. რამდენს ყეფით
ეცვალა ფერი!...
ახლა მოხუცდა: მოერია
ჭიცი და სნება,
მაგრამ, ოღონ ეს ეს ეს
ეს ეს ეს

ამბავნი ევროპისანი

ეჰა ისმინეთ ამბავნი, ცხელ-ცხელ ნი, ევროპისანი:
მომხდარნი მაშრიყ-მაღრიბად, გა ნგლილი დეკადისანი.
მოგითხრათ, მოგიპატაკოთ საქმე ნი ფაშიზმისანი.
ჯერ **გერმანიას** იკითხავთ, ამას რათ უნდა მისანი!
იქ ხომ ჰიტლერი თარეშობს, „ვა ჟკაცობს“ კაციონია,
კომუნისტებზე რომ იწყო მართ სისხლის მაციონია.
რბევა და ყლეტა იზრაილთ, კიდევ სურს რაციონია!..
გაიგონებდით რეიხსტაგ, თუ ვი თარ გადაბუგესა:
იყიდეს პროვოკატორი (უხმობენ ვან-დერ-ლუბესა)
იუდას ვერცხლის ფულები ათაუ ლვეს შარვლის უბესა,
და თუმცა ესე იშკილნი, ამყლავნ ეს გაცაუგესა,
ვერლა უშველნეს ატეხილს ფაშის ტურ ცოფის გუბესა,
გაცუდდეს ყოვლნი კანონნი, შიგან ჰერმანთა ზლუდესა,
მართ სისხლიანი მახვილნი მუშათ კარს ააყუდესა,
მაგრამ მათ ბრძოლის უნარი მაინც ვერ შეუსუსტესა.

—::—

რა სოციალ-დემოკრატთა ნახეს ესე სანახავნი,
ფაშიზმისა სამსახურად დაიწინდ ეს უმალ თავნი.
სტაყიც ჰქონდათ საამისო დაეყო ენათ ან თუ რისად?
ისინი ხომ კაპიტალსა მსახურობ დენ საჭირისად!
ერთსელ კიდევ შეაფურთხეს, უ ალატეს მუშათ კლასსა:
—ამაში ხომ „ხაზეინი“ გაიმეტებს მცირე ფასსა?
ბევრს არ ვითხოვთ სასყიდელად, დავჯერდებით ნასუფრალსა
პოლიციას გვამსახურეთ, დავუყე ნებთ მუშებს თვალსა.

—::—

იშოვეს მივლინებები, უხარისთ უეჭველშია.
ყვითელ ინტერნით გამორბის მათ ი ბელადი ველსია.
მას სხვებიც მიჰყვენ უკანა —პო რთფელთა მჭერნი ხელ ძია,
ვლენან სხვადასხვა ქვეყნებში, ახალ ბედს სცვლიან ძველშია:
ოქროპირობა დაიწყეს ჰიტლერის საქებარადა,
და ღალადებენ „სიმართლეს“ ყველგან მთათა და ბარადა:
— „რას ბრძანებთ? გერმანიაში? ფაშიზმი სისხლს ღვრის ღვარადა?
მოჭორილია ყველა ეს, არ დაიჯ ეოთ არა და“.
და ამით ფაშისტთ სიმხეცეს, ვი თომ მალვიან სამალით,
მაგრამ მყის გაახსენდება ყველას ჭურდი და მამალი.
მამლის ბოლო ჩანს, აშკარად, მა რთ ჰიტლერელთა მხარეში.
და ყოვლთ სიმხეცეთ აჭარბებს მა თი მხეცური თარეში,
ასე გასინჯეთ, თვით ჩვენც კი გვილრენენ, დორბლებს ჰყრიდიან.
ჩვენს ნავთის სავაჭროებსა ყაჩაღ ურ დაესხმიდიან,
ბევრგან გაძარცვეს საწყობნი, მინახულეს „დეროპი“,
და წარიტაცეს რაც ნახეს, მაზუთ და ნავთის სეროპი
მაგრამ მოთმენას ბოლო აქვს, ეს მათ იცოდენ კმარადა,
სულ მალე წარმოსდინდებათ ცხვ ირიდან ცხარე ძმარადა;
მაშინ ფაშიზმის ქოფაკებს ვინ ექნეს დასახმარადა?

—::—

იაპონიის ამბებიც ეჰვი არ არ ის გჭირიათ,
აჰა, ისმინეთ, სათქმელნი თქვენ თვის არ დამიჭირია:
იაპონია დღესა გავს იმა წუწკ ვა ა კა კატასა,
მზარეულს რეჩებს რომ უსმენს და თან კატლეტებს ატანსა.
ლიგა სჯის, ლიგა უკრძალავს ჩი ნეთში შეჭრა ომებსა,
ის კი იპყრობს და დაპყრობას კვლავ უფრო მორნდომებსა.
ერთ სიტყვას დავსძენ მე ამას, მართ თქვენსა დასარიგისად:
ყოველთა ღმერთმა გაშოროთ მშვ იდობა ერთა ლიგისა!
ამერიკაშიც ვიმზავრე, ამბ ებს ვხედ ოკრო-ბოკროსა,
ამერიკელი ძიაი დაეძებს ყველგან ოქროსა—
იშრიწებიან ბანკები, დაჭოჭ ნდა კაპიტალია,
ვერ შველის, თუმცა წამალად მანაც ფაშიზმი დალია!
ინგლისსაც დაჩაჩანაკდა, **იტალიას** სთხოვს მიფონას!
ქაჩალს რომ წამალი ჰქონდეს, თავს მოირჩენდა თვითონა!
ასეა მოკლედ, შეირყა, კაპიტა ლიზმის ხოხოლა,
დღეს თუ ხვალ ველი ოქტომბე რს, მაგრათ თუ დაიგრუხუნა.

ფარსადან

კალმის წვერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ესლა ხომ გიცანით,
თქვენ ბრძანდებით ველსი.
ნილაბი რომ ჩამოგხადეს,
დაგლეჯობია ფესვი.
წელში ასე რამ მოგლუნა,
ელდა გეცა განა.
ნასუფრალი საყოფი გაქვს
მოფერებაც თანა...
ჰიტლერის წინ დაუარე,
ტაში! ტაში! ტაში!
შიშისაგან ჟრუანტელმა
დაგიარა ტანში...

ქიშ.

„უსაგედი შემოსევა“

იგი სილნალის რაიონში მიავლინეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

— ბოლოსდაბოლოს სირცხვილიცა, რომ კაცი აგრონომი იყო და კოლმეურნეობის სტრუქტურას არ იცნობდე! — ფიქრობდა იგი და ნელა მიაბიჯებდა კომპლაურის კოლმეურნეობისაკენ...

„კოლმეურნეობის თავ-რე „თეთრ დათოს“ წელში აზმორებდა მომაგრებულ ამხანაგის მოლოდინში.

— ამას მაინც ველარ გადაცურჩები. — ფიქრობდა დათო. მის წინ კოლმეურნეობის ცხოველები დახტოდენ. უხარიოდათ გაზაფხულის მოსვლა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმპყრობდა № 8 თხის ვარაკი და ტოლებთან ჭიდაობა. ნაცნობმა ფიქრმა გაუელვა თავში დათოს.

— გაბრო, რაც ნოგვეიე, მოგვეიე, ამალამ ერთი ჩვენებურად შემოსძახო. ახალჩამოსულიც ჩვენთან იქნება... აბა შენ იცი. ნაცადი ხერხებით თხა № 8! — ხმადაბლა ჩასულაპარაკა დათომ თანამოაზრე გაბოს...

იმ ღამეს, დათოს ოჯახში მხიარულება იდგა. შაგი ღვინით შეზარხოშებულ მივლინებულს დიდათ მოქონდა თავი.

— ძალიან სტუმართმოყვარეობა გცოდნიათ აქეთ, აი დედასა, აქ ახლა მომცა ჩემი ამხანაგები, რავა შმიერ მგლებივით შეესეკიან ამ ხორცს- — ამბობდა იგი — და თან უკვირდა „თეთრი დათოს“ სიფხვე.

მეორე დღეს გამგეობის სხდომაზე შოისმინეს დათოს ცნობა თხის დალუპვის შესახებ:

თხა № 8 იყო მეტად ცელქი, მოუსვენარი და დაილუპა უცადები შემთხვევით. გამგეობის წევრმა გაბრუამ აპოვა კაკალაანთ ხევში ფეხმოტეხილი“.

დადგინეს:

„„ხორცი გაიხმაროს დათომ საჭიროებისამებრ. მაშდაგი (ტყავეულობა) ჩაბარდეს დაშზადების თანახმად“.

— ამდენი შემთხვევები გაგონილა!—კუთხეში ჩაილაპარაკა ვიღაცამ სხდომის დამთავრების შემდეგ.

— კოლექტივის თავმჯდომარე დათო ეჭვენა ხართ? — შეეკითხა გარეთგამოსულ დათოს ახალმოსული.

— დიახ!

— რაიონში გიბარებენ, ახლავე უნდა გამგზავ.

დათო წამორბიკდა. ყველაფერი ტრიალებდა, და ერთმანეთში აირია: კოლმეურნეობა, მაშდაგი, ქეიფი.

მაგრამ ეს არ იყო „უცაბედი შემთხვევა“, ეს, იყო სასტიკი სინამდვილე.

იგი პოლიტბიუროს წარმომადგენელს მიჰ ყავდა.

იანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტ ფ ი ლ ი ს ი

ნახ. ლადო გუდიაშვილის.

წელს ტფილისში გაშენდება ხუთი ბალი. გარდა ამისა რუსთაველის გამზირის ორივე მხარეს დაირგვება დეკორატიული მცენარეები და სურნელოვანი ყვავილები.

მიდის ძველი ტფილისი თავისი „აზიურობით“.. მიდის და თან მიყვება თავისი უკანასკნელი ჩამონარჩენი ტიპები

ვა! ტავარიშჩ ბაბრატო! რატომ ისეთი მაგრადა?–
ბალები და ყვავილი გააშენე აქ რადა?!
ველარ ვყიდი ყვავილებს... ვახ, მუშტრები ბაქრა და!
უფულობა დამჩემდა, მე იგი მყავს ამქრადა!

„ვეშალეგოდი ღოლოსა, შემოგასვდა სოფლის ფოლოსა“

ნახ. ...

ფავნებელი: — ვა, გაგონილა ასეთი ხათა? ამ კაცს ვერსად დავემალა სოფლის კოლექტივშიაც კი მომაგნო!

—უჰ! ანგელოსი გინახავა, რომელ საც მიწაზე ფეხი ჯერ დაუდგამს? აი ის არის! ღმერთი გინახავს? —აი ის არის.

— ვინ არის? საიდან? რაზე ჩამოსულა? საიდან გადმოფრენილა?

—ვინ არის? ეე! ის არის თუ არის! ჩვენ რა ვართ! ეშველა ბორჩალოს, ეშველა ბამბას.

— მაინც ვინ არის?

— უფროსი აგრონომი. საბჭოთა კავშირში გავარდნილია მისი სახელი, როგორც უდიდესი მეცნიერული ძალის განსაკუთრებით სასწაულებს ახდენს მებამბეობაში. ჩვენ ვიბრძვით 11 ცენტნერი მოსავლისათვის ჰექტარზე, მას ოცდათერთმეტი ცენტნერიც აიცილად არ ჰყოფნის.

ცოტა არ იყოს, უკმაყოფილების ფერმა გადაეარა სახეზე ბორჩალოს სამ. სატრ. სადგურის უფროსს აგრონომს, რომელიც ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს ორ ახალგაზრდას შორის.

— ალბად, მიუკარებელი ვინმეა!

— არც იმდენად... ყველას უღიმის, ზედმეტად თავაზიანია. ყველათერზე პასუხს მოგცემს, აინტერესებს ყველას გაცნობა... პამადა აქვს ტუჩებზე, მაგრამ ისე უბდება, ასე გეგონება დახეთქილი ბროწეული აქვს ჩასმული ტუჩებადო...

— ბიჭოს! მაშ შანსები ყოფილა....

— მე უკვე გავეცანი.

—ბიჭო, მეც გამაცანი... მალარიჩი ჩემზე იყოს....

— ოჰო! გაიცანით ახლა! მე რამდენი ვეწვალე იცი?

— ა, ბიჭო! მეც ვეწვალები... ოღონდ გამაცანი.

— ჰო! ყველას კი არ ეცნობა.

— როგორ, შენზე ნაკლები ბიჭი ვარ?

—:—

აგრონომს ებრძანა უზრუნველეყო ახლად ჩამოსული სპეციალისტი ქალისათვის ყველა პირობები.

— ბორჩალოს მდგომარეობა ძალიან მოგწონს?

— მართლა. —დარცხვენით უპასუხა აგრონომმა, რომელმაც გულში რაღაც ტოკვა იგრძნო.

მალე ადგილობრივმა აგრონომმა ბამბაზე ჩამოუგდო ლაპარაკი სპეციალისტ ქალს, აშლილი გრძნობა რომ დაეჩუმებია და თანაც გაეგო ახალი მიღწევების შესახებ აგრონომიაში ბამბის ხაზით. ქალი ცდილობდა უფრო სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი.

— ბამბის თესვა როდის სჯობს თქვენი აზრით?

— თებერვალში,— მოკლედ მოუჭრა ძანდილოსანმა.

აგრონომი განცვიფრებული დარჩა.

— აღება როდის სჯობს, ბატონო!

— ივნისში... დადგება თუ არა ივნისი, უნდა მოთიბოთ და შეინახოთ.

— როგორ „მოთიბოთ“, —მოადგა პირზე ადგილობრივ აგრონომს, მაგრამ ვერაფერი გაბედა...

და როცა მანდილოსან აგრონომს სასტუმროში მისთვის დათმობილ სუიტეთში ოთახში ეძინა, ადგილობრივმა აგრონომმა დირექტორს მოახსენა ყველაფერი, რაც გაიგონა მანდილოსან სპეციალისტისგან.

—მაგი ისე არ არის აგრონომი, როგორც მე—იაპონიის იმპერატორი! —სთქვა დირექტორმა და გამოსწია ტფილისში.

ტრაქტორცენტრში ერთი ამბავი ასტეხა, ვის მიგზავნით, რას მიგზავნით, არავითარი წარმოდგენა არ აქვს ბამბაზე.

—ა, ბატონო, მისი დიპლომი.. უჩვენეს ტრაქტორცენტრში გაცხარე ბულ დირექტორს.

„ეძლევა ესე მასში, რომ ბიჭოვა არის უფროსი... (აქ რაღაც წაშლილივით იყო, დანის წვერით გადაფხეკილი) აგრონომი საკონდუქტორო რეზერვის“.

— როგორ? საკონდუქტორო რეზერვის აგრონომი? პირველად მესმის... მართლაც კონდუქტორად თუ გამოდგება! —სთქვა დირექტორმა და გაბრუნდა ბორჩალოში მტკიცე გადაწყვეტილებით გამოეგზავნა უკანვე ის ბანოვანი....

მაგრამ ის უკვე აღარსად სჩანდა. სასტუმროში, სადაც ის მოათავსეს, მოსამსახურეები ეძებენს ისინჯავენ და ანგარიშობენ ვის რამდენი აქვს დაკარგული ფულად და ნატურით.

სეგეირ-ბენ-ზეიხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის ფრონტიდან

(აპარისტანი)

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობაში მუშა-ხარმა ნიკორაპ თავი დამკვრელად გამოაცხადა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია: ალმასა, გიშერა, წიქარა, ირემა, ფაცლა, ლომა და სხვ., დაიწერა სავალდებულო მუხლები. დაიდო სელშეკრულებები და სამეურნეო ნაწილის გამგეს გაეგზავნა დელეგაცია:

ჯერ საცოცხლე კიდევ გვინდა,
შეგვიბრალეთ, ძმაო. მიშა,
ულროო-დროს ნო დაგვხოცავ,
გვაზიდვიე თუგინდ ქვიშა..
ყველა ხედავს, ძალა შეგვწევს,
შეგვიძლია შრომა, ჯაფა,
ის იკმარეთ გასულ წელში
რაც ხარები „გაიქაფა..“

წარსდგა პატივცემულ გამგის წინაშე ფელეგაცია, მაგრამ ამს. მიშამ არც აცხელა, არც აცივა და სასადილოს დავთარში ჩასწერა, „თუ ვერ იშოვო ეელური, შინ დაიბრუნე ყვერულეიო“—მაშასადამე ჩაითვალოს ერთი ფელი ხარი გაუქმებულად“.. დაიწერა განკარგულება და მის შესრულებაშიაც გამოიჩინეს სათანადო ერთგულება: არ გასულა დიდი ხანი, რომ ალმასას და გიშერას თავი შეეკრნათ მოსაფხანი:—დატრიალდა მზარეული, შინატრი თუ კარეული და ალმასას და გიშერას კიდეც გააძვრეს კუდის რიკამდე ტყავი.. შემოუსდა სუფრას ხალხი რჩეული, კამპანიებში გამოცდილი, ნაკადი და გამოჩვეული.. სადილი სადილს მიყვა, ვახშმი ვახშმს, მაგრამ მოულოდნელად სუფრას თავზე წამოადგა ადგილობრივი ექიმი, რომელმაც სავსებით დაადასტურა ხარის ხორცის უტარი სამკურნალო მნიშვნელობა. ქეიფი დასრულდა, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილება ისევ გაგრძელდა და ტფილისის მიმართ დაიწერა შუამდგომლობა:—ვინაიდან ხარის ხორცს ჯანმრთელობისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის მიერ მოტანილ სოლას და ძეშას და გარდა ამისა, წელიწადში 365 დღეა—ეთხოვოს ტრესტს ჩისცეს მეურნეობას 365 მუშა-საჭონელი ისე, რომ დღეში თითო ხარი მაინც დაიკლას.

კამპანია კარგად გვესმის,
დაცალება სულ ახალი,
თქვენ სახელზე გიახელით
ლიმონი და ფორთოხალი..

განცხადების გაგზავნა მეურნეობის დირექციამ არ ისურვა, მაგრამ მისი შინდარსი არ გამოეპარა გონიოს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობასაც. „ითა ითის უარესი მგელმა შეჭამაო“—ჩაიფაპარაკა სამნეო ნაწილის გამგემ, წაიღო ხელი 500 კილო სათესლე კარტოფილს, რომელიც სპეციალურად სათესლედ ტრესტის მიერ ბორჯომიდან იყო გამოგზავნილი, მოთრია ყურით სასადილო ოთახში და ჩასთესა სამზარეულოს დიდ ქვაბში.

ასეთია ჯერჯერობით ზოგიერთი თანამშრომლის ზოგიერთი მიღწევები თესვის ფრონტზე.

სუბბროკიკი

დეტერდინგი და საბჭოთა ნავთი

ნახ. ბ. თოლიძის

„დეტერდინგი ხუფსიდიებს აძლევდა გერმანიის ფაშისტებს, რომლებიც ახლა კამპანიას ეწევიან საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ

ეს ჩვენი ძველი ნაცნობი „ცნობილი“ დეტერდინგია

საბჭოთა ნავთზე მრავალჯერ მან წაიტეხა დინგზა.

ტფილისის აბრეშუმის საქ.-საფაბრიკო სკოლა

თანამდებობით ის იყო
პასუხისმგებელი მდივანი.
უყვარდა ფართოდ გაჭიმვა,
კაბინეტი და დივანი.
მოლარეობაც ხელთ იგდო,
დატვირთა კაცმა თავია.
(ეჰ, ვინ იცოდა, თუ გულში
ჰქონდა განზრახვა ავია).

დღე მიდიოდა და ჯიბეს
ჰმატებდა ფულებს ლევანი.
სამაგიეროდ სალაროს
ფულმა დაუწყო ლევანი.
ოთხი ათასი დააკლდა,
რომ უქნეს ანგარიშია...
ლევანი დღესაც სეირნობს
მას არავის აქვს შიშია.

ან რად ექნება, როდესაც
საქმე აქვს გაჩარხულია...
ვიცი აქ ძაღლის თავები
სად როგორ დამარხულია.

ნატრობენ: ნეტა ნიანგით
მოვიდეს მუშგლეხინო;
მაშინ კი ლევან სალაძეს
ჭირად ექცევა ლხინი.

ქოჩოკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

მელქისედეკ ჩვენი სოფლის მცხოვრებია.

სოფლის ბივარდნილ ალაგას — ტყის პირად ცხოვრობს იგი.

არც ცოლი ჰყავს და (ამ მიზეზით) არც შვილი.

მწიგნობარი კაცია—უყვარს ლიტერატურა, თითქმის ყველა წერს. ამბიათად შეხვდებით მას საზოგადოებაში, ხოლო როცა გამოჩნდება, ყველა მას მისდევს და უსმენს.

განდეგილივით ცხოვრობს. გაშვებული აქვს თმა და წვერი. ეს მას წმინდანის შარავანდედით მოსავს სოფლის თვალში.

2

ჩვენს სოფელს ხშირად ეკარგებოდა ტყეში საძოვრად გაშვებული საქონელი: თხა, ცხვარი, ხბო და, წარმოიდგინეთ, ძროხაც და ხარიც კი

სოფელში გაისმოდა წუწუნი და მოთქმა დაკარგულ საქონელზე.

--- მგელი შემოგვიჩნდა და ამოაგდო ჩვენი ოჯახი, გაგვიხადგურა საქონელი. კვირა ისე არ გავა, რომ საქონელი არ შეგვიჭამოს! — ამბობდა სოფელში ჩვენი ეკლესიის დიაკანი.

ასე ამბობდა იგი და მთელი სოფელი და რწმენებული იყო, რომ დიაკანის ეს სიტყვები და „ჭკვიანური აზრი“ სინამდვილეს გამოხატავდა

დიაკანმა ეჭვის მიტანა მგლის გარდა მელქისედეკსეც სცადა, მაგრამ სოფლელებმა იმე უკიჟინეს, რომ შემდეგ დიაკანს კრიტიკა აღარ დაუძრავს მელქისედეკზე.

მომხსენებელივით ტყუილ-უბრალოდ ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, სოფლად ყველას სწამდა, რომ სოფელს მგელი შემოეჩვია, მიეჩვია სარჩენად და მიირთმევს სოფლის საქონელს.

სოფლის მონადირეები ბევრჯერ ჩაესაფრენ მგელს, ბევრი ღამე ათიეს, მაგრამ მგელი არსად გამოჩენილა.

3

ჰო, კინაღამ დამავიწყდა:

დიაკანის ოჯახში ხშირად იმართებოდა ქეიფი.

აწ განსვენებულ ნიკოლოზის დროს დიაკანისას ხშირად დაინახავდით ბოქაულს და მამასახლისს, რომლებიც მადიანად მიირთმევდენ ცხვრის, ხბოს და ძროხის აწვადებს.

არც მენშევიკების ერობის თავმჯდომარეებსა და მილიციის უფროსებს დაკლებიათ პატივისცემა დიაკანისაგან.

შარშან ჩვენს სოფელში თემსაბჭოს თავმჯდომარედ ოპორტუნისტი აწვადაძე იყო. მასაც კარგი კავშირი ჰქონდა დიაკანის ოჯახთან. მართალია, რელიგიურ საკითხებში აწვადაძე არ ეთანხმებოდა დიაკანს, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რომ დიაკანის ოჯახში აწვადები ეჭამა.

4

მიუხედავად იმისა, რომ დიაკანი ასეთი სტუმარ-მოყვარე კაცი იყო ,ერთ დღეს იგი მაინც გარდაიცვალა, ე. ი. მოკვდა.

მისი მოსწრებული ვაჟი ბათომში მსახურობდა. არც ისე პატარა თანამდებობა ჰქონდა, რომ მამის დასაფლავებაზე სასულე ორკესტრი არ მოეყვანა ბათომიდან.

გაისმა თუ არა სოფლად სასულე ორკესტრის ხმა, მთელი სოფელი ადგა; არა მარტო სოფელი, მთელი თემი.

უამრავი ხალხი დესწრო დასაფლავებას.

ბევრმა უთხრა სიტყვა მიცვალებულს, რომელიც დაახასიათეს, როგორც „მეზობლების ხიამაყე. „საზოგადოების ერთგული“, „ჭირში და ლხინში გამოსაღეგი ადამიანი“, ყველასათვის საყვარელი კაცი“, „სპეტაკი და პატიოსანი პიროვნება“ და სხვ.

5

როცა კუბო ამოთხრილ საფლავთან დაასვენეს, მუსიკა მოემზადა უკანასკნელი დაკვრისთვის, ამ დროს მოულოდნელად წინ წამოდგა მელქისადეკ.

ყველა სდუმდ იქცა.

ყველას ყურადღება მან მიიპყრო.

მოთქმა და ტირილი შეწყდა.

ჭირისუფლებს ესიამოვნათ, რომ მელქისედეკიც კი პატივს სცემდა მიცვალებულს — დასწრებია დასაფლავებას (ისე კი არავის დასაფლავებას ესწრებოდა) და, გარდა ამისა, სიტყვასაც ეუბნება მიცვალებულს.

განსაკუთრებით გაუხარდა მიცვალებულის ვაჟს.

— ხალხნო და ჯამაათნო! — გაისმა მელქისედეკის ძლიერი, მაგრამ ხავერდოვანი ხმა. გაისმა და, როგორც ეთქვით, სამარესთან მართლაც სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ჩუმენელი მუმიად იქცა.

— ხალხნო და ჯამაათნო! — გაიმეორა მელქისედეკმა, რომ ყველას ყურადღება მის კენ ყოფილიყო მიქცეული. — თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ოც წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი სოფლის საქონელს ანადგურებდა რაღაც საშიშარი ნადირი, რომლის შეპყრობა და თავიდან მოშორება არ იქნა. რამდენი უმანკო ცხვარი, ხბო, ძროხა და სხვა საქონელი შეიწირა წუწუმ და გაუშაძღარმა შგელმა.

— რა დროს ამაზეა ლაპარაკი, ჩვენ მიცვალებულს ვასაფლავებთ, ეს მას არ შეეხება! — გაისმა ვიღაცას პროტესტი.

— სწორედ, რომ მიცვალებულს შეეხება. — უპასუხა მელქისედეკმა.

— დაიცადეთ, მელქისედეკ არ შეცდება. საწყალი მამაჩემი მონადირე იყო, ვინ იცის ეგებ ეს მგელი მან მოკლა. — ჩაილაპარაკა დიაკანის დაობლებულმა ვაჟმა.

მელქისედეკმა ხმას აუწია.

—თქვენ იცით, თუ არა, რომ თქვენს წინაშე გდია ჩვენი სოფლის მგელი, რომელიც აიოგურებდა თქვენს საქონელს. მე ტყის პირად ვცხოვრობ, ეს მე ვიცი. საკუთარი თვალებით დამინახავს... რაკი გარდაიცვალა ჩვენი სოფლის მგელი, ამიერიდან თქვენ შეგიძლიათ უშიშრად გაუშვათ ტყეში საქონელი.

ატყდა ჩოჩოლი და აურზაური.

დიაკანის შვილმა რევოლვერი ამოშვა.

მელქისედეკ სიკვდილს გადაარჩინეს.

იგი ახლაც ცოცხალია.

ჩვენს სოფელში მას შემდეგ ბატკანიც კი არ დაკარგულა.

ზმუკი





„მონადირე“ მუზეუმში

ნახ. ლადო გუდიაშვილის

— ასე თავმოყრილად რომ ტყეში მხვდებოდეს ნადირები, ერთს მაინც მოვკლავდი და შინ ხელცა რიელი არ დავბრუნდებოდი!

ფაცურია წანწალაძე

უცნაური ჩვეულება დასჩენდა ფაცურია წანწალაძეს: ხელპარკის მაგიერ ხელში მუდამ კალათი უჭირავს. ყველაფერს შეხვლება ფაცურია, კალათს კი ვერა. სამსახურში ჭუჩაში, ბაღში, სტუმრად წასვლისას ყოველგან კალათი დაატარებს, როგორც უძვირფასესი სამკაული.

— ფაცურია, ქალო, რად გინდა ეს კალათი ყოველგან რომ დაატარებ?—ეკითხებიან ნაცნობები.

— როგორ თუ რად მინდა, გენაცვალე. ყოველი შემთხვევისათვის. ვინ იცის, იქნებ სადმე რამეს არიგებენ, იქნებ სადმე რამეს წავაწყდე.—უპასუხებს ფაცურია.

და თავის კალათით მუდამ გამალებით მიმოქრის ჭუჩებში, თავის მახვილ თვალებს ყოველი მხრით მიმოავლებს და თუ სადმე შენიშნა რიგში ჩამდგარი ხალხი, გასროლილ ისარივით გაეჭანება იქით.

ასე იქცევა ის იმ შემთხვევაში, თუ რიგი მცირერიცხოვანია, მაგრამ როცა გრძელი კუდი ხვდება, იგი სრულიად უცერემონიოდ რიგს თავში მოეჭცევა, და თავის პოზიციაზე ისე გამაგრდება, რომ მისი იქიდან დაძვრა შეუძლებელია.

— რას ამბობთ, მე აქ დილის ოთხი საათიდან ვდგევარ!—დამაჯერებელი ტონით არწმუნებს ანაზდეულად მის ზურგს უკან მოქცეულთ და მისი ასეთი საქციელით აღშფოთებულ მოქალაქეთ.

ფაცურიას მთელი არსება შეუპყრია რაღაც უცნაურ სიხარბეს და დაუცხრომელ წყურვილს: მოიმარაგოს რაც შეიძლება მეტი სურსათი და სხვა საქონელი. ამ ნიადაგზე გამუდმებული ბრძოლა აქვს ქმართან, რომელიც რომელიღაც დახურულ კოოპერატივში მსახურობს. პირდაპირ აიძულებს მას კომბინაციებსა და ქურდობას მიმართოს, და სახლში რაც შეიძლება მეტი ფული და საქონელი შემოიტანოს.

— რა ჯანდაბათ გინდა კოოპერატივში სამსახური, თუ ამის მეტი გამორჩენა არ გექნება!—გაწიწმატებით შეუტევს ქმარს.

ასეთი გზით შეგროვილი ფულით მან ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, საკოლმეურნეო ბაზრობის დროს იყიდა ორი მსუქანი ჭედილა და საზამთროთ დაკონსერვა, ერთ ფუთამდე ერბო გადაადნო, ერთ ფუთამდე—ღორის ქონი. შეიძინა მთელი წლის საყოფი კარტოფილი, ხახვი, ზეთი, პურის ფქვილი და როცა ყველაფერი ეს თავის საკუთნოში ზოაქცია,—ოხვრითა და ქაქანით გარეთ გამოვიდა ხელმოკლე და გაჭირვებულ მეზობელს წუწუნით შესჩივლა:

— ჩემზე გაჭირვებული მთელ დუნიაზე არ მოიძებნება. დღეს უკანასკნელი კარტოფილი ჭოთნიდან გამონაფხეკი ქონით შეეუწვი ბაკშვს.

ფაცურიამ ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში დაიწყო ნავთის მოგროვება. თავის სარდაფი ნავთის ნამდვილ საწყობად გადააქცია. თითქმის ორმოც ფუთამდე შეაგროვა, ხოლო შემოდგომაზე და ზამთრის დასაწყისში დაუცხრომელი წრიალით და მეცადინეობით იმდენი შეშის ორდერი იგდო ხელში, რომ თანდათანობით სამოიდე საქონი შეშაც შეზიდა თავის სარდაფში და როცა უკანასკნელად საგულდაგულოდ გამოუკეტა კარი თავის ნავთსა და შეშას, ფიცხლავ ისევ ცარიელ სანავთეს წაავლო ხელი და ჭუჩაში გაიჭრა ნავთის ასაღებად.

ამ ბოლო ხანებში ფაცურიას სიხარბე კიდევ უფრო გაძლიერდა, თითქმის გაასკეცდა, მას არავითარი მარაგი აღარ აკმაყოფილებს. იგი ახლა მარტო კალათის ტარებას აღარ ჯერდება, მეორე ხელში სანავთე უჭირავს, ხოლო ზურგში ჩანთა აქვს მოგდებული და ასე მრრბოლი ალიონიდან მოკიდებული შუალამეშდე ცოფიანი ძაღლივით დაწანწალებს ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში, ერთი მაღაზიიდან მეორე მაღაზიაში. მისი ასეთი საქციელით გაკვირვებული ნაცნობები ხშირად ეკითხებიან ჭუჩაში შეხვედრილ ფაცურიას:

— ფაცურია, სამსახურისათვის თავი ხომ არ დაგინებებია, რომ სულ ჭუჩაში დგებარ?

— ეჰ, ავადა ვარ, გენაცვალე, ავად. გულის სიგანიერე მაქვს. დამზღვევ სალაროზე გადავეწერე!—თავის პოკატუნებით და ამოოხვრით უპასუხებს ფაცურია და გამალებით გაეჭანება მიზანში ამოღებულ მაღაზიისაკენ.

კურკანტელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგკორი შირაქში

პატაკი ნიანგს

ვნახე მირზანი, შირაქის
ჭაბურღილების სერია,
მალე რომ ნავთი გვექნება
დეე, დარწმუნდეს მტერია.
პირველყოვლისა, მუშებთან
მქონდა მსჯელობა, კამათი,
საცხოვრებელი ბინები
არ მომეწონა ამათი.
მტვერი ეყარა თაროზე,
იატაკს ეცხო ტალახი.
მალე ის თუ არ გასწმინდეს,
მასზე ამოვა ბალახი.
ჭაბურღილებმა შემჩივლეს
ყური დაგვიგდე ძიაო,
ჩუმად გვტაცებენ ნაწილებს,
ზოგი კი უქმად ყრიაო.
ზოგს მოტორები გვაკლია,
ზოგსაც — სპეცები ვარგისი,
ბევრი გვაქვს წუნი, ნაკლია,
ვხდებით აროფრის მაქნისი.
ზოგან მანქანებს სპეცები
ვერ აყენებენ სწორადა,
და ბევრი მიზანს ვერ აღწევს,
ვიცი ეს არც მთლად ჭორადა.

საქ. ნავთის წითელ წყაროს ავტოგარაჟის შოფერები ლოთობენ და მანქანებს აზიანებენ.

ღვინის სმა და ლოთობა
მათთვის არ იძრახება.
ავტოები დალეწა
უთავბოლო ჯახებამ.
ვნახე — გოგიტიშვილმა
თავის ავტო პატარა
დაჯახა მეორეს,
ყირამალა ატარა.

იმავე შოფერმა გლეხს მოატაცა ღვინის გუდებით დატვირთული ვირი, ჩასვა ავტოში და გაიტაცა წითელ - წყაროში



— ვირმა თქვა: ერთი შემბედეო,
ვზივარ ავტოში ვირია,
თუმცა პატრონი დავკარგე
მაგრამ ალარა ვტირია!

შენ გენაცვალე, შოფერო,
ჩემო ერთგულო ძამია;
ღმერთმა შეგარგოს, რაც მუქთად
შესვი და შეგიჭამია.
ნიანგო, გაამათრახე
შოფერი, ვირის ამკლე
იცოდე—იგი არ არის
მის პატიმარზე ნაკლები.

გასულ წელს საქნავთის ადმინისტრაციამ ვერ დაიცვა ფინანსიური დისციპლინა, რის გამო ხელფასის გადახარჯვა რამდენიმე ათას მანეთს უდრის.

გასული წლის დავთრები
საქნავთის ცუდათ აფასებს,
გადახარჯვა ხელფასში
უდრის მრავალ ათასებს,
არც გეგმები შესრულდა,
არც ხარისხი საყოფი,
თანდათან ძირს დაეცა
ნავთში შრომის ნაყოფი.
ამას ფიქრი არ უნდა
არც სიტყვები მშრალია;
მუშაობა ასეთი
სამკუთხედის ბრალია.

ჭაბურღილებზე წყლის მზიდავი ავტო-მანქანები ხშირად ფუჭდება

წყლის ბზიდავის მოტორში
თუ კი რამე გაჩნდება.
ავტო გარბის გარაჟში
და იქ ხუთდღეს დარჩება.
გეგმა მუშებს შესცქერის,
მუშა - მმართველობასა,
ავტოები ჩივიან
თავის ბედანმრეობასა.
სამკუთხედი ისწავლე
მუშაობის წესია;
თვალის გამახვილება
ეგზომ ოკეთესია.
ამოასხი მიწაზე
შავი ოქრო, მაზუთი;
იგი ალის კეთილისთვის
სასიცოცხლო ნაზუქი.

ძნელოანელი.

ᲠᲐ.ᲓᲔᲜᲘᲗ

ალბად, გორის პედაგოგიური ტექნიკუმი თავბრუდახვეულია „წარმატებებით“, განსაკუთრებით იმ „მილწევებით“, რომელიც მას აქვს თუნდაც წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტზე. მაგრამ რას იტყვის პედაგოგთა ახალი კადრების „სამეცადინო“ გორის ტექნიკუმი თუ ის პედაგოგის წოდებით უმეცარს წერა-კით. უცოდინარს? გორის პედტექნიკუმს მართლაც შეუძლია „იამაყოს“ თავის „მილწევებით“.

აი საბუთი:

„საქართველოს განათლების კომისარს
თხოვნა ქალაქ გორიდან.

მოგახსენებ უპირველეს ყოვლისა იმის შესახებ რომ მე მოქალაქე ივანე რობაქიძე მცხოვრები ქ. გორში ამყამად. (სახლენი ნიშნები და „სტილი რობაქიძისაა!) დამთავრებული მაქვს ქ. გორის პედაგოგიური სასწავლებელი. 1931 წლის ივნისის რიცხვებში. ამავე წელს დანიშნული ვიყავ მასწავლებლად იგივე (?) რაიონში. 1932 წლის სექტემბრამდე () პირველ სექტემბრიდან მასწავლებლობა შევსწყვიტე ოჯახური პირობების (?) გამო. (?) 1 ივნვარიდის—ამყამათ (?) უმუშევარი ვარ. ახლა ისევ ძრიელ (?) მინდომია და ხელოვნია მინდა დაუბრუნდე მასწავლებლობას მხოლოდ ისეთ ადგილებში სადაც დღეს-ღღეობით ითვება სწავლა-აღზრდის ლაბარი რომელიც მიუყვან ულრან-კლდე ლრის ოქთ არის გადაკარგული რომელშიაც ან მხარე ოყოფება ჯერ-ჯერობით რელიგიური ზეგავლენის ქვეშ მე მზურს დიდი დავანა იმ მხარის ძველ ადათ ჩვეულებებს—და დავაშავრიო იგი. ეს მხარე კი გახლავთ ძ. ჭუთაისის რაიონში შაბაქალი „სვანეთი“-ს მხარე მხოლოდ ისეთი სვანეთი რომელთანაც ადგილი მისასვლელია ამბასავის გთხოვთ თუ ნებას დამრთობთ (?) ფეიდია გამგზავნით სვანეთში მასწავლებლად შემდეგ საგნებში 1.. ქართული 2.. გეოგრაფია 3.. რუსული 4.. ისტორია ფეიდია ფლნიშნულ საგნებშით დამაკმაყოფილებთ... და სხ.

მთხოვნელი ქალაქ გორში ივანე
რობაქიძე.

გორის პედტექნიკუმით „ჩადიპლომებული“ „პედაგოგი“ რობაქიძე, რომელსაც ალბად თავის „მასწავლებლობის“ დროს „წარმატებით“ უსწავლიებია გორის რაიონში ქართული, გეოგრაფია და სხვა, განათ. მუშაკთა კავშირის „საამაყო წევრიც“ ყოფილა. ეკ მეორეტად. რას წარმოადგენს მის განცხადებასთან ილიას „კაცია ადამიანში“ მოყვანილი ლუკრესა თინქარიძის სასიმამროს წერილი სასოფლოსადმი?

რობაქიძეს ჩვენ ვიძლევთ ერთი წლის ვადას, რომ ან წერა-კითხვა მაინც ისწავლოს (მაგრამ არა გორის ფეტელი შეჩაგენლობის პედტექნიკუმში). გორის პედტექნიკუმს კი ასეთ „საამაყო“ მასწავლებლთა კადრების გამოშვებისათვის ვაჯილდოებთ ნიანგის აირველი ორდენით. მეფუზა.

ქუხარუკი

სად არის ჩვენი ფართალი? გვითხარით ვინმემ მართალი!

შარშან რაიტპომ ტფ. დეპოში, სავაგონოდეპოში და სამატარებლო გუნდებში შეაგროვა ფული მუშებისთვის ფართლის დასა რიგებლად. დღემდე არც ფული ჩანს და არც ფართალი.

ქორმა წიწილა წაილო,
იძახდა წიავ-წიავსა.
ჩვენი ნაშოვნი ფულები
მაჭმონდა ქარს და ნიავსა.

აფრინდა ქორი, აფრინდა,
არავი ჩაინადირა
დეპოს დაეცა მუშებსა,
მათ ჯიბეს მტვერი ადინა.

რაიტპომ თქვა, „გავიმასჭრავ“,
კვაესაც არ დავედარები,
ფართლისთვის ფულებს რომ შევკრებ,
მუშებს არ გაეიარები.

ღღეს მერცხალი შემოფრინდა
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„თქვენი ფული „რაიტპომა“
თავის ყელში გადუძახა“

შარშან შემოდგომაზე
—გაფრინდენ ჩვენი ფულები, მოფრინდებიან როდისო?

წელს გაზაფხულზე
გამოჩნდენ, აქეთ მოფრენენ, მაგრამ, ვა, ეს რა მოდისო!

ხურდას ქაფავს ელიზბარი, გაანაწილა მთა და ბარი.

რა საჭიროა ამდენი
ფიქრი და აურ-ზაური.
თითო ბილეთზე ჩამოვრჩი
ექვსი თუ შვიდი მაური.
მაურს მაური ეკვრება,
ერთდება ერთი აბაზი;
ხუთ აბაზისგან მიღება
ერთი მანეთი ლამაზი.
ცხრას მიუმატებ ერთ აბაზს,
უკვე მაქვს ჩერვონეცია.
ფულის ამნაირ შოვნაში
ცაბლავარ დიდი სპეცია.
ღღეში თუ ოცი მანეთი,
ვერ ავადინე ქაფადა,
განა ლირს ჩემი ხელფასი
ამდენ წრომად და ჯაფადა?!

ვის ვეცე ახლა!

ასე ყოფილა, არ შეხვალ კოლექტივში და გიტირება ყოფა. ქე ინნები გაბრაზალ. შეხვალ და—შვიდობით ადგილ-ადგილ, კოლექტივი წაიღებს!

ბე თვითან საშუალოზე კიდამ მეტი ვიყეფი და სულიო ცოდვილო, არც ქე ბინდოდა კოლექტივში შესვლა. მარა ბაღნებმა, არ დამაყენეს!

ჩემეწერე, შენ ხარ ჩემი ბატონი და მოუსვი. კიდეც პარტიისაკენ: შევიტანეე ანკეტა-დება: „ამისთანაი ვარ, ამისთანაი ვარ, ბლეხა კი ვარ, მარა სული პროლეტარული მაქვს, ოლათ საბჭოთა პლატფორმაზე ვარ სარიგით დარეგისტრირებული-მეთქი. თქვენ წარმეიდგინეთ, ქე არ ჩამრიცხეს კანტიტატათ?..

გეიდა ხანი და დამიწინაურეს, კიდამ გეიარ-გამეიარა ხანმა და კიდეც დამაწინაურეს. ბოლოს კოლექტივის თავმჯდომარედ მიეეწყვე და გვარიანი გამოსარჩენეიც მქონდა.

გეიხედე და მოდის დირექტივა: „კულაკი, რაკარც კლასი, უნდა მეისპოსო“. ვიფიქრე, ე ბიჭო ზოსიმელავ, ასტელე კოლექტივი-მეთქი. ჩვენს სოფელში ერთი კულაკი ეგდო, ძველი ინტერესი მქონდა მისი და გადავწყვიტე მისი მოსპობა...

ერთ დღეს ქორწილში ვართ დაპატიჟებული. დამაყენეს ტოლუმბაშათ (ანა სხვას ეირჩევდენ თუ?). იგი კულაკიც იქენე ეგდო, წაწყტა მისი სული. დუულიე ღვინო, დალია, კიდეე დუულიე. კიდავ დალია. დუულიე კიდეე და ვერ დალია!

— „დალიე ყაზახო-მეთქი,—არ დალია.— დალიე,—არ დალია!

შეიქნა ჩხუბი. წამოსდგა ამ კულაკმა ბიჭო ზოსიმელავ-მეთქი,—ეუხარი თავს და.. ბიჭო ზოსიმელავ-მეთქი,—ეუხარი თავს და. ამეევილე ლაგანი, ოავადეიი შუბლში. ვბრინგე და გავაგდებინე სული! ა! ამ შენმა კულაკმა, როგორც კლასმ. მოგეპარა ბირი!

გეიხედე და შეალგირეს კომისია, ჩამოვიდენ ქალაქიდანაც. გამიჩხრიკეს კოლექტივი და დამიწუნეს: ზრომის ორგანიზაცია არ გვაქვსა, ალრიცხვა არ გეიარგა. თვესა დაგეგვიანებია, დამკვრელი არ გეყავს, რეს მიკეთებ აჭანაო? ამას გარდა, კულაკ მასე კი არა, მთლიანი კოლექტივის საფუძველზე უნდა მოსპოდო! დაგიდეია ლაგანაი გიბრიხგებია და გადაგიგორებია, მაგეა პოლიტიკაო?.“ გამაღეს კანტიტატობიდან და თავმჯდომარეობიდანაც გადმომაყენეს...

კის ვეცე ახლა?..

ალლარ-ალლარსან.

მე გახლავარ ორმოცაქე, გავამრავლებ 40-ს 100-ზე

სად. ნიგოითი

თუნდაც ორმოცდაერ გამწერონ
და გაამრავლონ ასზედა,
მე მაინც ჩემს გზას განვაგრძობ
დავრჩები მაინც ასკთად!

დეე, იყეფონ ძაღლებმა,
კვლავ მიდის ქარავანია;
სრიკებით საქმე ყოველთვის
გამაქვს და გამოტანია.

სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად:
ღვინო, კულაკი, ჩარჩია.
ტყავს ვაძრობ კოოპერატივებს,
ბევრი მაქვს დღეში ხარჯია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოდი, ნახე!

შეურაცყოფილი

ჭიათურის ხაზზე სამგზავრო მატარებელში ბნელა. კონდუქტორები სანთელს, დანთების ნაცვლად, თავის ჯიბეში ინახავენ.

აქაური.

რა უსამართლო ხალხია,
ასტეხეს კორიანტელი
მისთვის, რომ
ჯიბეს დავუნთე
მგზავრების ნაცვლად სანთელი.

გულმავიწყი

მიხეილ შარიქაძემ, რომელიც გორის სახკვეებას ხელმძღვანელობდა, გაფლანგა საბაზინო თანხა, რაც ჯერაც არ დაუფარავს.

სამი გორელი.

გორის სახკვებში
შეჯახა
ფულები ჩვენმა მიხამ: —
როცა დაფარვა
მოსთხოვეს,
იუცხოვა და იხამ.

დიალოგი

ქუთაისის რკ. გზის ანგარიანის გამგე კრავჩენკო ლოჭობს და სამსახურს აცდენს.

ქ—ლი.

— გამგეს ვკითხულობ —
კრავჩენკოს.
ხომ არ გინახავთ ამ თავად?
— ღვინის სარდაფში
წავიდა
ნუნუას ჩასაცქნაფავად.

ალმოჩენა

ხაშურის (სტალინისი) „სახკვების“ ადგილკომის თავმჯდომარემ ოფიციანტკა ქალს დაავალა რომ ერთ საღამოს მასთან „სტუმრად“ წასულიყო და რაკი უკანასკნელმა ეს „დავალება“ არ შეასრულა, ადგილკომის თავმჯდომარემ ის სამსახურიდან დაითხოვა.

„სიმულიანტი“.

ვაშა, ვაშა ადგილკომო!
ვაშა ჩვენს „სახკვებას!“
თავმჯდომარეს ადგილკომის
ვინ არ ეტყვის ქებათ-ქებას?
ალმოჩენა მას ეკუთვნის
უცხოთათვის საცნაური:
საფლავიდან ამოიღო
მან მორალი ბატონ-ყმური.
ადგილკომის თავმჯდომარე
უკეთესი ვინც ხარ, მოკვდი!
სამარიდან ამოიღო
იმან „იუს პრიმე ნოქტი!“

ბლეგი

შორაპნის, სანახშირის და მარტოთუბნის არტელებს ერთი მოანგარიშე ყავთ, რომელსაც კაცი ვერც ერთ ადგილზე ვერ ნახავს.

ვ. ტ—ლი.



დაობლდა
შორაპანი და
დაობლდა
მარტოთუბანი:—
ძოანგარიშე
დაჭკარგა!—
დასტოვა
მარტოთ უბანი.

დასტური

შორაპნის თამბაქოს ტრესტის სავაჭროში გამყიდველად მსახურობს სავაჭროს გამგის მოდებაძის ცოლი.

ვ—ლი.

რაკი საქმეს ასე კვაპავს
მოქალაქე მოდებაძე—
„ხათრით“ უარს
მას ვინ ეტყვის
ფეხზე ნიჩბის მოდებაზე?

ნიანგის საკბილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვაციხე
(ჭიათურის რაიონი)

„ქვაციხის თემის (ჭიათურის რაიონი) აღმასკომის მოსამსახურე ს. ჩუბინიძე კომკავშირელებს ერეკება აღმასკომის შენობიდან და უწესწური სიტყვებით უმასპინძლდება“.

ურწმუნო.

ეს ჩუბინიძე ძველია
კომკავშირლების მტერია,
დედის გინება უშვერი
მაგისთვის არაფერია!



ხშირად გინებას არ კმარობს
მუშტებიც მოუღერია,
ელოდეს, ჩქარა მოხვდება
ნიანგის ჩანგლის წვერია!

—:—

ურბნისი

„ურბნისის კოლმეურნეობაში ღუნმა ტრაქტორმა 5 დღის განმავლობაში მოხნა 6 ჰექტარი მიწა“.

ა.—ლი

ტრაქტორის სადგურს „ჰყოლია
გამგე მამაცი, ფხიანი,
და აუღია მას ტემპი,
სწრაფი და ბარაქიანი!
ექვსი ჰექტარი მოუხნავს
ოთხ ტრაქტორს ხუთსა დღეშია,
ყოჩაღ ბიჭებო, გენაცვათ
შრომისა სისწრაფეშია!

სამტრედია
(ჟურავლი-ავის სიმღერა)

„დამისხი, დამალევინე
ეგ ღვინო, ოხერ-ტიალი!“
გავილეშო და ვიგინო
ვიწყო ქუჩაში ტრიალი!

—:—

ჭიასურა

„ჭიათურის სამთო ტეხნიკუმის გამგე — კალანდაძე ტეხ. მსმენელებს უხეშად ეპყრობა“.

რენტი

თეოფილეაა იცნობდეთ
კალანდაძეა გვარადა,
სამთო ტეხნიკუმს განაგებს
მსმენელთ უბღვერის მარადა.

—:—

გუაჩიძის ოინი
(ხარაგოული)

„ხარაგოულის აგრო-ტეხნიკუმის გამგე— ი. გუაჩიძემ მიითვისა მოწაფეების სტიპენდია და სიმინდი“.

ფამფარ.

„მოწაფეებო, არ მინდა
თქვენი მემართოს რამეო,
თქვენი ფული და სიმინდი
მოდით, მიიღეთ ხვალეო!“
ხანი გავიდა მცირედი—
ეს დღეც გათენდა როცაო,
გამგემ მოუსვა სიმინდს და
შინისკენ გააცოცაო!

სვირი

„სადგ. სვირში ღვინის დამზადების საკონტროლოდ მივლინებულია მილიციონერი ხერგო მზეიძე, რომელიც იპარავს ღვინოს, მფარველობს სპეკულიანტებს და მუდამ-დღე მთვრალია“.

გაგ.

შეხედეთ, თავსა ხურავს
მილიციელის ქუდი,
ღვინოს იპარავს თურმე,
ტიკჭორითა და გუდით

ყოფილა ძატყუარა
თან მექრთამე და ქურდი,
ხომ მოუხდება მაგას
მაგრად ავუწვათ კუდი!

—:—

ნასაკირალი

უცხო ვინმე არ გეგონოთ
მკლავაძეა ხომ ნამდვილი!
ფოსტის გამგეს მუშტი მისცხო
ჩამოაძრო ორი კბილი.
ქალსა სახლში მიუვარდა
წუწკი გრძნობით ანთებული,

მაგრამ თავში სკამი მოხვდა
ქალი შეხვდა ვარგებული!
მაგრამ ჩალად არ ჩაგდო
ისევ წუწკობს წარა-მარად!
გთხოვთ იცნობდეთ ამ დევ-გმირსა—
აბესაძე არის გვარად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲐᲑᲠᲔᲛᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲡᲝᲕ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ
ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲜᲘᲜᲐ,
ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲝᲒᲘ ᲒᲕᲐᲠᲐᲓ
„ᲛᲮᲡᲜᲔᲚ ᲛᲔᲡᲘᲐᲓ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ-
ᲛᲝᲜᲘᲐᲕᲐ ᲐᲥ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ,
ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔᲪ ᲑᲣᲚᲐᲚᲢᲔᲠᲘ,
ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲘᲥ ᲛᲝᲙᲐᲚᲐᲗᲓᲐ
ᲒᲐᲛᲤᲚᲔᲜᲒᲔᲚᲘ, ᲛᲣᲨᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ.
ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲜᲘᲜᲐᲛ
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲡᲐᲛᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ,
ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ
ᲓᲐᲐᲧᲠᲔᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲧᲔᲑᲐ.
ᲓᲐᲐᲡᲙᲕᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲤᲚᲐᲜᲒᲐᲗ,
ᲕᲐᲠᲗᲚᲔᲣᲚᲘ, ᲜᲐᲗᲗᲘ ᲗᲝᲚᲘ.
ᲓᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ
ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲗᲐᲠᲘᲒᲣᲚᲘ“.
ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲡ
ᲤᲣᲠᲪᲚᲕᲐᲜᲘᲫᲔ, ᲗᲣ ᲒᲘᲡᲣᲠᲗ ᲒᲕᲐᲠᲘ
ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲰᲬᲧᲕᲔᲡ
ᲡᲝᲠᲛᲝᲜᲔᲚᲗᲐᲜ ᲗᲐᲗ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ.
ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲐᲜᲘᲫᲔ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲪᲐ,
ᲛᲐᲗ ᲜᲐᲭᲣᲗᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲡ,
ᲤᲐᲠᲗᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲠᲔᲡ,
ᲒᲚᲔᲮᲘ ᲛᲧᲘᲗᲘ ᲒᲐᲐᲪᲐᲠᲔᲡ.
ᲒᲐᲩᲧᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲨᲐ ᲡᲐᲛᲐᲜ
ᲓᲐ ᲨᲔᲮᲣᲠᲓᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲔ,
ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘᲕᲔᲡ ᲒᲐᲣᲚᲘᲕᲓᲐ
ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲬᲐᲚᲘᲡᲘᲡ.
ᲠᲐ ᲒᲐᲣᲢᲙᲑᲐᲗ ᲛᲐᲗ ᲝᲗᲮᲐᲡᲝ
ᲡᲣᲠᲘᲡᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲝᲕᲐᲒᲓᲔ,
ᲒᲐᲘᲠᲘᲪᲮᲔᲜ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲓᲐᲜ
ᲛᲝᲘᲮᲐᲓᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲞᲘᲠ-ᲗᲐᲓᲔ.
ᲐᲡ ᲝᲪᲓᲐᲨᲕᲘᲓ ᲛᲔᲢᲠ ᲐᲑᲠᲔᲛᲣᲛᲡ
ᲧᲚᲐᲞᲘ ᲣᲩᲜᲔᲡ ᲨᲔᲣᲜᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ,
(ᲛᲔᲢᲠᲘ ᲝᲗᲮᲘ, ᲮᲣᲗᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ
ᲘᲡᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲫᲔᲕᲚᲐᲓ).
ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲡ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲥᲕᲐᲠᲘ ᲢᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ.
ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ,
ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲡ ᲔᲠᲔᲑᲡ, ᲪᲠᲘᲣᲠᲝᲑᲡ
ᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲮᲓᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲔᲕᲐᲓ.
ᲛᲘᲐᲥᲕᲡ ᲥᲕᲐᲠᲗᲐᲜ ᲜᲐᲭᲣᲗᲘᲡᲘ,
ᲐᲛᲐᲡ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲝᲒᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ,
ᲐᲜᲘᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲭᲝᲜᲔᲑᲐᲡ
ᲓᲐ ᲐᲠᲐᲒᲓᲔᲑᲡ ᲐᲠᲪᲐ ᲩᲘᲠᲐᲓ.
ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ (ᲥᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ
ᲐᲠᲢᲔᲚᲨᲘᲐ ᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐᲓ)
ᲗᲥᲕᲐ: - ᲐᲠᲢᲔᲚᲘ ᲒᲐᲘᲮᲐᲓᲐ
„ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲛᲐ“ ᲡᲐᲬᲧᲔᲚ ᲤᲣᲠᲐᲓ.
ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲐ ᲡᲐᲠᲘᲔᲚᲔᲚᲐᲓ,
ᲗᲐᲠᲓᲘᲡ ᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲐᲪᲐᲠᲘᲡ,
ᲒᲐᲛᲒᲔᲛ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲘᲡ ᲣᲡᲘᲠᲘᲪᲮᲕᲝᲓ
ᲠᲐ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲗ ᲙᲕᲘᲠᲐ.
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲠᲝ
ᲤᲚᲐᲜᲒᲔᲚᲐᲡ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲜᲓᲐᲗ,
ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲗᲔᲗᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲐ
ᲨᲔᲠᲩᲐᲗ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲤᲣᲜᲓᲐᲗ.
ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ, ᲨᲔᲜ ᲛᲘᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕ,
ᲒᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲘᲒᲝᲜᲔ,
ᲐᲛ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ (ᲙᲝᲓᲘᲐ - ᲛᲐᲓᲚᲘ
ᲨᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘᲡᲖᲔ ᲐᲛᲘᲬᲝᲜᲔ.

ᲡᲐᲛᲜᲘ

ᲬᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲛ. ᲡᲐᲢᲠ. ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲣᲙᲔ ᲗᲔᲑᲔᲚ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ.



ᲜᲐᲮ. ᲭᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ: ᲐᲥᲐᲝᲓᲐ, ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲔ ᲑᲠᲣᲜᲐᲕᲡᲗᲐ, ᲗᲣ ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲣᲜᲗᲐᲗ—ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ?

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

— ᲕᲘᲚᲘᲐᲛᲡᲑᲘᲗ, ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ-ᲐᲜᲒᲔᲚᲘᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲥ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜᲗ.

ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ: ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲔᲘᲗᲛᲔᲜᲔᲡ ᲛᲘᲥᲔᲚ-ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲐᲜ ᲒᲔᲚᲝᲖᲘ?

ᲫᲠᲝᲮᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲡᲔ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲡᲐ ᲚᲐᲜᲘᲠ - ᲥᲕᲘᲢᲘᲠᲘᲡᲐ, ᲮᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲡᲐ. ᲛᲐᲡ ᲧᲐᲛᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲡᲐ ᲐᲛᲐᲡ — ᲡᲐᲛᲗᲐ ᲫᲛᲐᲗᲐ: ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲛᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲗ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ — ᲠᲣᲮᲐᲫᲔᲗ, ᲛᲝᲘᲐᲠᲔᲡ ᲫᲠᲝᲮᲐ—ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲘᲚᲔᲡ ᲢᲧᲐᲕᲡᲐ ᲛᲐᲡ, ᲒᲐᲩᲧᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲡᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲑᲭᲔᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲣᲠᲓᲜᲘ - ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲜ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲗᲐᲗ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲓᲐᲗ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲝᲠᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲡᲐ

ᲓᲐ ᲐᲜᲐᲖᲚᲐᲣᲠᲔᲑᲐᲘ ᲖᲠᲝᲮᲘᲡᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲔᲡᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲧᲐᲛᲡᲐ ᲣᲥᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲣᲠᲓᲜᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲪᲮᲔᲡᲐ ᲨᲘᲒᲐᲜ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲯᲓᲝᲛᲘᲡᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲜᲔᲜ ᲛᲣᲜ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲐ ᲗᲘᲗᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲐᲛᲓᲦᲐᲪ ᲘᲥ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲣᲤᲚᲔᲡᲐ ᲜᲝᲔᲚᲘᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲕᲚᲘᲐᲜ ᲤᲣᲚᲔᲑᲡᲐ ᲯᲘᲑᲘᲡᲐᲯᲔᲜ.

ᲜᲔᲢᲐᲕ ᲗᲣ ᲘᲪᲘᲡ „ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛᲐ“ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲡᲔ, ᲐᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲬᲝᲜᲡ „ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲘ“ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲘᲡᲐ ᲐᲛᲓᲔᲒᲕᲐᲠᲘ?

ᲘᲩᲝ.

სწორად გაიგო

— ᲣᲛᲯᲝᲑᲘᲚᲘ, ᲛᲝᲚᲒᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ.
— ᲨᲔᲜ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲒᲔ?
— ᲐᲛᲐᲡ ᲠᲐᲚᲐ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ? ᲐᲛ ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ.

ᲘᲚᲕᲐ

„ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ“

ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲘ, (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) შესდგა ნოქართა კრება, რომელმაც ვ. ბუბუნაშვილის მოხსენების შემდეგ გამოიტანა დადგენილება კოოპ. საქონლის უფრო მიზანშეწონილად განაწილების შესახებ. უნდა მიღებულ იქნეს ყოველი ღონისძიება არ დარჩეს საქონლის მიუღებლად ნოქრის არცერთი ნათესავი და ძმა-ბიჭი. დადგენილებას ყველაზე კარგად ატარებს ცხოვრებაში ვალოდია ბაბუნაშვილი.

ᲘᲕᲘᲓᲐᲜᲘᲗᲔ. კომუნისტრედის მდივანს ემელიანეს აზრადა აქვს დახუროს მაღლაკის საკოლმეურნეო სასადილო, სადაც მას უფასოდ არ აძლევენ სადილებს.

დ. ᲐᲜᲓᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ

ᲡᲔᲜᲐᲙᲘ. ქალაქის საბჭომ დაადგინა შეიძინოს რამოდენიმე ნავი, რაიც გამოყენებულ იქნება ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მდგარ ტლაპოებში ხალხის დახრჩობის შესამცირებლად

ᲪᲘᲕᲔᲚᲘ.

ᲮᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲡᲝᲤ. ᲩᲮᲐᲠᲘ-ᲔᲬᲔᲠᲘ. ყოფ. ვაჭარმა, ამჟამად კოლექტივის თავმჯდომარემ **ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔᲛ** დაარსა ახალი კოლექტივი, რომელიც შესდგება ყოფილი ვაჭრებისაგან და სოცშეჯიბრში გამოიწვია Ხ. ᲗᲔᲠᲕᲯᲝᲚᲘᲡᲗᲘᲡ არტელის თავმჯდომარე. შეჯიბრების შედეგის გამოარკვევა მინდობილი აქვს ᲛᲣᲨᲒᲚᲔᲮᲘᲜᲡ.

ᲒᲖᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ.

ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗᲔᲑᲘ

ᲮᲝᲜᲘ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორმა **ᲙᲝᲬᲘᲐ ᲙᲐᲙᲐ** ᲑᲐᲫᲔᲛ დიდი ხნის ძილის შემდეგ გამოიღვიძა და ამ დღეებში აპირებს ტრაქტორების შეკეთების დაწყებას. დირექტორის სიტყვით ტრაქტორები მზად იქნება თუ საგაზაფხულო თესვისათვის, არა, შემოდგომისათვის აუცილებლად.

ᲕᲐᲜᲙᲐ.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ

ᲓᲘᲓᲘ-ᲕᲐᲜᲘ. (ᲩᲮᲝᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) უგზოუკვლოდ დაიკარგა სამკითხველოს გამგე. ჩაითვალოს გაუქმებულად!

ᲕᲐᲜᲔᲚᲘ.

ᲯᲝᲠᲐᲚᲓᲔᲡ (ᲑᲐᲗᲝᲛᲘ) თქვენი „ახალი“ გამოგონება საკმაოდ ძველია.

ᲐᲮᲐᲚᲡ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ) რკ. გზის ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ანგარანის ᲑᲣᲤᲐᲚᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ შესახებ იწერებით:

ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲙᲝ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲣᲤᲐᲚᲢᲔᲠᲘ
ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲕᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲗᲠᲝ
ᲥᲣᲩᲘᲡᲔᲑᲡ ᲐᲓᲘᲜᲐ ᲛᲢᲕᲔᲠᲘᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲢᲐᲚᲐᲮᲘᲐ, რომ „მტვერის დინება“ საეჭვო საქმეა. უფრო საინტერესოა თუ ვალიკომ „რას გაადინა წვენია“.

ᲕᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ (ᲝᲚᲔᲛᲘ, ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ) რას შვება ფოსტის ადმინისტრაცია თუ კ.

ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘ
ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ ᲐᲠᲔᲡ ᲒᲕᲐᲠᲐᲓᲐ
ᲙᲣᲚᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ
ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲐ.

კარგია გაზეთების კარგვა, სჯობია, ისევ მიხეილი დაიკარგოს.

ᲘᲗᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐᲡ. ვთხოვთ პირველთა (100 სტუდენტის) შეკითხვას, მეორის (ტრამვაის დირექციის) საყურად ღებულ.

რატომ „ᲔᲖᲐᲠᲘᲔᲑᲐ“ ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲐᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲝ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ ᲒᲐᲛᲕᲔᲑᲐ? ნუ თუ მას გონია, რომ ამ მარშრუტებით „შავი ხალხი“ იმოგზაურებს?“

ᲡᲘᲛᲣᲚᲘᲐᲜᲔᲡ“ (ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲘ). თუ კ. ასეთი უხერხული ფსევდონიმის დარქმევის არ გრცხვენიათ, რატომ გრცხვენიათ პარტიზანელთა სასადილოს გამგის სახელის და გვარის ალნიშვნა, რომელსაც სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული ჩაუდენია?! საკვირველია! —ასევე უნახავთ „ნამუსს“, ესე იგი არ ამბილეთ ბამურის „სახკვების“ ადგილკომის თავმჯდომარის ვინაობას, რომლის შესახებაც ცნობას ჩვენი ჟურნალის ერთერთ განყოფილებაში ვთავაზობთ.

ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲡ (ᲥᲐᲕᲔ) ალბად მარილაც მარტის ბრალი უნდა იყოს, რომ ასეთი „ლექსების“ წერა დაგიწყიათ:

ᲨᲔᲜᲡ ᲚᲔᲠᲬᲐᲛᲘᲕᲘᲗ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲐᲡᲠᲘᲣᲚᲘᲚ
ᲨᲝᲚᲝᲛᲝᲥᲐ ᲢᲐᲜᲖᲔ
ᲨᲔᲛᲝᲒᲔᲑᲕᲘᲔ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ
ᲓᲔᲡᲐᲡ ᲕᲐᲖᲘ....

ალდგომა გერმანიაში

— რატომ სცემ? ვერა ხედავ, რომ ქრისტეა!
—იმიტომ კი არა ვსცემ, რომ ქრისტეა, არამედ იმიტომ, რომ ებრაელია და ებრაელებმა კი ქრისტე აცვეს ჯვარს!

სტამბა „კომუნისტი", ქამოს ქ. № 68 თავლიტი № 2400.